2023 წ.

სოფიკო ჭიაურელი

სოფიკო ჭიაურელი 1937 წლის 21 მაისს თბილისში დაიბადა. 1955 წ. დაამთავრა თბილისის ქალთა მე-5 საშუალო სკოლა, 1960 წ. საკავშირო სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. 1960 წლიდან იყო კინოსტუდია ,,ქართული ფილმის" მსახიობი, პარარელურად მუშაობდა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში, 1971 წლიდან კი - კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

ს. ჭიაურელს შესრულებული აქვს მრავალი მნიშვნელოვანი როლი. შ. რუსთაველის თეატრში: ჰერმია (უ. შექსპირის ,,ზაფხულის ღამის სიზმარი"), ანაისი (ე. ლაბიშის „ჩალის ქუდი"), ელენა ნიკოლაევნა (მ. გორკის „მდაბიონი"), ანტიგონე (ჟ. ანუის „ანტიგონე"), კ. მარჯანიშვილის თეატრში: კიტი (ა. აღლაძის „მღელვარე დღეები"), რაპა (ნ. პერიალისის „ბაფთიანი გოგონა"), ჯულიეტა (უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა"), ხატია (ნ. დუმბაძის, გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს"), ნენსი (ა. კრონინის ბროუდის ციხესიმაგრე"), თეკლა (ი. გობრონიძის, ო. იოსელიანის „ნოველების საღამო"), ჟანა (ჟ. ანუის ,,ჟანა დ' არკი"), ივდითი (კ. გუცკოვის ,,ურიელ აკოსტა"), აგაფია ტიხონოვნა (ნ. გოგოლის ,,ქორინება"), ნეგინა (ა. ოსტროვსკის ,,ტალანტები და თაყვანისმცემლები"), კლარა ცახანასიანი (ფ. დიურენმატის ,,მილიარდელის ვიზიტი"), მართა (ი. ბუკოვჩანის ,,მამლის ყივილამდე"), რეგინა (ჰ. იბსენის ,,მოჩვენებანი"), სარე (კ. ბუაჩიძის ,,ეზოში ავი ძაღლია"), მადამ სან-ჟენი (ვ. სარდუსა და ა. მოროს ,,მადამ სან-ჟენი"), ანა კარენინა (ლ. ტოლსტოის ,,ანა კარენინა"), მექსინფოკი (ტ. უილიამსის ,,იგუანას ღამეები"), ბეტსის მთავარი როლი ითამაშა და მისივე რეჟისორობით განხორციელდა პ. ზენდელის ,,გვირილა".

ს. ჭიაურელს კინოფილმებში შექმნილი აქვს შემდეგი სახეები: ციცინო (,,ჩვენი ეზო, 1956, ოქროს მედალი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის მოსკოვის საერთაშორისო კ/ფ-ზე), ტასია (,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" 1964), თამარი (,,ენგურის ნაპირებზე", 1961), ლალი (,,ამბავი ერთი ქალიშვილისა", 1960), ზოსია (,,გენერალი და ზიზილები", 1963), მზექალა (,,ხევსურული ბალადა", 1965, პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ლოკარნოს (შვეიცარია) კ/ფ-ზე და კიევის საკავშირო კ/ფ-ზე), საიათნოვა, ანა ბატონიშვილი, თურქი გოგონა, მონობანი, ანგელოზი, მუზა (,,საიათნოვა", 1966, პრიზი 6 როლის შესრულებისთვის დუარენის (საფრანგეთი) კ/ფ-ზე), სოფიკო (,,ფერისცვალება" 1968), ელენე (,,ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება", 1965), სოფიკო (,,არდაიდარდო" 1969), ვარდო (,,ვერის უბნის მელოდიები", 1973, პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პრაღისა და ბაქოს კ/ფესტივალზე), თამრო (,,აურზაური სალხინეთში", 1974), ეკა (,,ქვიშანი დარჩებიან", 1976), ნანო (,,დათა თუთაშხია" 1977), ფუფალა (,,ნატვრის ხე", 1976), მუსიკის მასწავლებელი (,,ძაღლი", 1979), არევიკი (,,არევიკ", 1978, ,,არმენფილმი". პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო სატელევიზიო ფილმების ფესტივალზე), კურტიზანი ქალი (,,შეცდომათა კომედია", 1978 ,,ლენფილმი"), დედა (,,ალიბაბა და 40 ყაჩაღი", 1979, უზბეკეთისა და ინდოეთის ერთობლივი ნაწარმოები), თურვანდა (,,სილის გაწვნა", 1980, ,,არმენფილმი"), ბებია (,,პეტროვის და ვასიჩკინის არდადეგები", 1984, ,,ოდესის კ/ს"), ვალერია (,,მილიონი საქორწინო კალათაში", 1986, ოდესის კ/ს"), ალიას პოსტიკი (,,ეძიე ქალი", 1985, ,,მოსფილმი"), ვარდო (,,სურამის ციხე", 1986), პრეზიდენტის მეუღლე (,,ახლო აღმოსავლეთის ისტორია", 1987, ყოფილი საბჭოთა კავშირი-სირია), დედა (,,აშიკ ყარიბი", 1988), დედა (,,მოხეტიალე ვარსკვლავები", 1991, ,,ოდესის კ/ს"), ბებია (,,კუნძული", 1992, ,,ტაჯიკფილმი"), მისის ლეფსკი (,,ღამის პეპელას

გაფრენა“, 1992, ,,ბელორუსფილმი“), სიკვდილი (,,სამი საშინელი“, 1992, ,,მოსფილმი“), მასწავლებელი (,,ნუცას სკოლა“, 2000), სოფიკო (,,მთვარიანი ველის სერენადა“, 2003), ბებია (,,იყიდება აგარაკი“, 2006, ,,მოსფილმი“), ბებია (,,შუქურა“, 2006, ,,მოსფილმი“) და სხვ.

1974 წ. სიდონიას სახის შექმნისათვის კინოფილმ ,,წუთისოფელში“ მიენიჭა საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემია (ასევე ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პირველი პრემია სან-სებასტიანის (ესპანეთი) კ/ფ-ზე და თბილისის მეხუთე საკავშირო კ/ფ-ზე), ხოლო 1981 წ. სოფიკოს როლისთვის კინოფილმ ,,რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ - საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია და პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის აშხაბადის საკავშირო კ/ფესტივალზე.

ს. ჭიაურელი ფართო დიაპაზონის მსახიობი იყო. იგი ერთნაირი ოსტატობით ასრულებდა კომედიურ, სახასიათო და დრამატულ როლებს.

2003 წლიდან ერთი მსახიობის თეატრ ,,ვერიკოს“ სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა. აქ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია: ეკა, იადონა (რ. კლდიაშვილის ,,მარტოობის ბინადარი“ და ,,იადონას თეატრი“), გრასიელა (გ. მარკესის ,,სიყვარულის სულთათანა“), რეჯინა (მ. სანტაელის ,,დედა დედოფალი“), ტაკიმასხარა (ი. გარუჩავას, პ. ხოტიანოვსკის ,,პლანეტების დაბადება“).

მიღებული აქვს შემდეგი ჯილდოები: ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემია(1996), ნატო ვაჩნაძის სახელობის პრიზი (1997), შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია (1999), კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია (2000), ნუცა ჩხეიძის სახელობის პრემია (2002), ვერა ხოლოდნაიას პრიზი ,,ეკრანის დედოფალი“ (2003), ,,აღმშენებლობის ვარსკვლავი“ (სანქტ-პეტერბურგი, 2004).

არჩეულია თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და კვიპროსის საპატიო მოქალაქედ.

1977 წ. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, 1976 წელს საქართველოს სახალხო არტისტის, ხოლო 1979 წელს კი - სომხეთის სახალხო არტისტის წოდება.

სოფიკო ჭიაურელი 2008 წლის 2 მარტს გარფაიცვალა. დასაფლავებულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

სოფიკო ჭიაურელის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის მიერ გაცემული სოფიკო ჭიაურელის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ცნობარი.
   1969 წ. 22 აპრილი. ბლანკი. ხელით შევსებული. წითელი კალამი. 3 გვ.

2. კარლო გოგოძის სტატია კ/ფილმში „წუთი სოფელი ასეა“ სოფიკო ჭიაურელის მიერ შესრულებულ როლთან დაკავშირებით.
   1972 წ. 31 იანვარი. ნაბეჭდი. ჩასწორებული მწვანე მელნით. 10 გვ.

3. საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის დირექციის მიერ გაცემული სოფიკო ჭიაურელის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ცნობარი.
   1977 წ. 6 მარტი. ბლანკი. ხელით შევსებული. ერთვის ფოტო. 3 გვ.

4. სოფიკო ჭიაურელის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ბროშურა.
   1979 წ. სტამბური. 1 ც.

5. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გამართული სოფიკო ჭიაურელის 75 წლის იუბილეს აღსანიშნავი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
   2013 წ. 2 თებერვალი. სტამბური. 1 ც. 3 ეგზ.

6. სოფიკო ჭიაურელის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ავტობიოგრაფია.
   უთარიღო. ხელნაწერი. კალამი. 4 გვ.

7. სოფიკო ჭიაურელის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ბიოგრაფია.
   უთარიღო. ნაბეჭდი. 3 გვ.

8. სოფიკო ჭიაურელის მოკლე შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ბიოგრაფია - 1962 წლამდე.
   უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

9. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობთა სექციის თავმჯდომარის - გ. გულორდავას მიერ გაცემული სოფიკო ჭიაურელის დახასიათება.
   უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

10. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ადმინისტრაციის მიერ გაცემული სოფიკო ჭიაურელის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი ცნობა.
    უთარიღო. ბლანკი. ხელით შევსებული. კალამი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

11. სოფიკო ჭიაურელის მიერ კინოში განხორციელებული როლების ჩამონათვალი.
    უთარიღო. ხელნაწერი. შავი კალამი. 1 გვ.

12. თბილისის მე-5 ქალთა სკოლის XI კლასის 1955 წლის გამოშვების საიუბილეო ბროშურა, სადაც სწავლობდა სოფიკო ჭიაურელი.
    უთარიღო. სტამბური. 1 ც. 3 ეგზ.